

საიდუმლოს გასაღები: როგორ გავერკვეთ ჩინურ იეროგლიფებში?

ავტორი [ლევან ალფაიძე](#)

„ვერასოდეს გაიგებ ენას და მის შინაარსს, თუ არ იცი სულ მცირე ორი მაინც“

ძველი ჩინური ანდაზა

XXI საუკუნეში ბევრს საუბრობენ ჩინეთსა და ჩინელებზე. დღე არ გავა, გაზეთებმა და ინტერნეტ-გამოცემებმა ერთი ახალი ამბავი მაინც არ გვამცნონ ჩინეთიდან. დღეს, 21-ე საუკუნის მეორე ათწლეულში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა (ჩინეთი) მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი და მნიშვნელოვანი ქვეყანაა და მისი წონა და გავლენა დღითიდღე იზრდება. ჩინეთის ძლიერებასა და მნიშვნელობაზე შემდეგი ფაქტებიც თვალნათლივ მიგვითითებენ:

-ჩინეთის მოსახლეობა 1.4 მილიარდს აჭარბებს (1-ლი ადგილი მსოფლიოში, ინდოეთთან ერთად);

-ჩინეთი, თავისი ტერიტორიით (9.6 მილ. კვ. კმ) მსოფლიოს მესამე უდიდესი ქვეყანაა, რუსეთის ფედერაციისა და კანადის შემდეგ.

– ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, სიდიდით მსოფლიოს მე-2 ეკონომიკაა (აშშ-ს შემდეგ) და ზოგიერთი გათვლებით, უკვე გადაუსწრო ამერიკის ეკონომიკურ მაჩვენებლებს;

-ჩინეთი, დღეს, უზარმაზარი მასშტაბის “მსოფლიო ქარხანას” წარმოადგენს, სადაც იწარმოება მსოფლიოს მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის უდიდესი ნაწილი, შავი მეტალურგიიდან გემთმშენებლობამდე და ზუსტი ელექტრონიკიდან – ტანსაცმლამდე;

-ჩინეთი დღეს მსოფლიო ლიდერია ახალი ტექნოლოგიების დანერგვაში და გამოყენებაში (Huawei, 5G ტექნოლოგიები), ელექტრონულ ვაჭრობაში(e-commerce: Alibaba, JD.com), და ხელოვნური ინტელექტის (AI) კვლევის საქმიანობაში;

-ჩინეთის სამომხმარებლო ბაზარი უდიდესია მსოფლიოში (1.4 მილიარდი მომხმარებელი), რაც ერთიორად ზრდის მის მნიშვნელობასა და გავლენას გლობალურ მწარმოებლებზე და ვაჭრობაზე;

-ჩინეთი, დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ინვესტორი და ყველაზე გავლენიანი მონაწილეა მსოფლიო სავაჭრო ინიციატივებსა და სავაჭრო მარშრუტების

ინფრასტრუქტურულ პროექტებში გლობალური მასშტაბით („ერთი სარტყელი, ერთი გზის“ – ახალი „აბრეშუმის გზის“ ინიციატივა);

-ჩინეთს, როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრს, უდიდესი გავლენა აქვს მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ პროცესებზე;

-ჩინეთს გლობალური მასშტაბის გავლენა აქვს გარემოსდაცვით საქმიანობასა და ინიციატივებზე;

-ჩინეთის არმია ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი და ტექნოლოგიურად განვითარებულია მსოფლიოში;

-ჩინეთის სამეცნიერო სექტორის საქმიანობა ერთ-ერთი ყველაზე მზარდი და განვითარებულია დღევანდელ მსოფლიოში (პირველი ადგილი სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობით – 650,000 გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატია, 2022 წ. და მეორე ადგილი – სამეცნიერო ციტირების რაოდენობების მიხედვით – 3.6 მილ. ციტირება, აშშ-ს 4.8 მილ. ციტირების შემდეგ), ბიოტექნოლოგიების, კოსმოსური კვლევებისა და კვანტური კომპიუტერული ტექნოლოგიების კვლევის მიმართულებების ჩათვლით.

ამ შთამბეჭდავი მიღწევებისა და პროგრესის ფონზე, გამოუცნობ კითხვად რჩება ჩინელების დამწერლობა – „ჰან-ძე“ (汉字), რომელიც დიდად განსხვავებულია დანარჩენებისგან (ანბანური და სილაბურ-მარცვლოვანი დამწერლობებისაგან) და მსოფლიოსთვის საიდუმლოებით მოცულ, „იეროგლიფებით დასახლებულ“, ჩვენგან დაფარულ სამყაროს წარმოადგენს.

მაინც როგორ მივუდგეთ ჩინურ „ჰან-ძეს“ (დამწერლობას)? როგორ დავიწყოთ ათასობით ჩინური იეროგლიფის აღქმა და მათი მნიშვნელობის გაგება? რამდენად შესაძლებელია ეს ჩვენთვის, ქართველებისთვის, რომლებსაც მსოფლიოში ალბათ ყველაზე სრულყოფილი და დახვეწილი ანბანური სისტემა გვაქვს?

შენიშვნა: ქართულ ანბანი უნიკალურია იმით რომ ჩვენს ენაში და დამწერლობაში, ბგერისა და ამ ბგერების გამომხატავი ნიშნების დამთხვევა ას პროცენტს წარმოადგეს! ქართულად როგორ იწერება, ისე ითქმება და პირიქით! ასეთი შესაბამისობა – როდესაც ნათქვამი ზუსტად ემთხვევა ნაწერს – სხვა ენებში იშვიათია ან საერთოდ არ გვხვდება. სწორად ამ მიზეზით, საინტერესოდ მეჩვენება თქვენთან ერთად, ჩინური ენის („ჟონგ-ვენ“) და ჩინური დამწერლობის („ჰან-ძე“) ჩვენთვის უცნობი თავისებურებების გაგება და ამ უცნაური ენის შინაარსსა და წესებში დაფარული საიდუმლოების ფარდის ახდის მოკრძალებული მცდელობა.

ჩვენ, ქართველებს, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ძველი ანბანისა და დამწერლობის და უნიკალური ქართული ლიტერატურული ტრადიციის მქონე ერს, თავისუფლად შეგვიძლია

შევადართო სხვა ხალხებისა და კულტურების სამწერლო წესები და ტრადიციები ჩვენსას და ამ კუთხით შევხედოთ ჩინური დამწერლობის ფორმასა და შინაარსს.

ერთხელ, ჩემი ახალგაზრდობისას, აღმოსავლეთ გერმანიაში მოგზაურობისას, გერმანელებს ვკითხე: “გერმანულად, თქვენი ქვეყნის სახელია “დოიჩლანდ” – Deutschland, რატომ არის რომ ბგერა „ჩ“-ს გამოსახატად, ოთხი ასო, -tsch- გჭირდებათ? ეს ხომ თქვენი ენდონიმია, ანუ საკუთარი სახელი, რომელსაც თქვენს ენაზე ეძახით თქვენსავე ქვეყანას?”

ჩემი გერმანელი მეგობრის, სტუდენტი-ფილოლოგის პასუხი დაახლოებით ასე ჟღერდა: “კარგი კითხვაა ლევან. ეს თქვენ, ქართველებს გაქვთ ფუფუნება თქვენი ქვეყნის ქართული სახელი, “საქართველო” საკუთარვე ანბანზე დაწეროთ, ჩვენ გერმანელები, მშობლიური გერმანულისთვის, რომაელების/ლათინების ანბანს ვიყენებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლათინური ენა, რომელიც გერმანულივით, ინდოევროპული ენების ოჯახის ენაა, თუმცა “რომანული” ენების ჯგუფს მიეკუთვნება განსხვავდება მათგან.

რაც შეეხება გერმანულს, იგი ინდოევროპული ენების ოჯახის “გერმანიკულ” ჯგუფს მიეკუთვნება და ენათესავება ჰოლანდიურ, ფრიზულ, ინგლისურ, შვედურ, ნორვეგიულ, დანიურ, ფარერებისა და ისლანდიურ ენებს (ლ.ა.).

ლათინური ანბანი, რომელიც რომაელებმა თავიანთი ენისთვის შექმნეს და რომის კოლონიებში გაავრცელეს (მათ შორის დღევანდელ გერმანიაშიც), ლათინურ ენაში არსებული ბგერებს შეესაბამება და ხშირად არ ემთხვევა გერმანულ ენაში არსებულ ბგერებს – ამიტომაც, ჩვენ, თანამედროვე გერმანულში, გვიწევს ასოების გარკვეული კომბინაციების შექმნა, გერმანული ენის ბგერების ლათინური ანბანით გამოსახატავად”, მიპასუხა გერმანელმა სტუდენტმა.

ჩინურის ენის (ანუ დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ენის, “პუტონგ-ჰუას”) სილამაზე და სირთულე (და უცნაურობა) და მისი კალიგრაფიის ელეგანტურობა, საუკუნეებს მანძილზე აჯადოებდა უცხოელ მკვლევრებს და მოგზაურებს.

ერთი შეხედვით, ჩინური იეროგლიფების გაგება რთულ ამოცანად გამოიყურება, განსაკუთრებით დამწყებებისთვის, თუმცა ნოდარ დუმბაძის გმირის, ოლღა ბებიას სიტყვების პერიფრაზს თუ გავაკეთებთ, „ჩინურის სწავლას რა უნდა, ბიჭო, მთელი ჩინეთი ჩინურად ლაპარაკობს...“ სწორი მიდგომით და მეთოდებით, ჩინურის სწავლა შესაძლებელია საინტერესო თავგადასავლად და საინტერესო ამოცანად გადაიქცეს.

როგორც მოგეხსენებათ, ჩინური დამწერლობა იეროგლიფებისგან შედგება. ჯამში, სულ 80 ათასამდე სიმბოლო არსებობს(!), თუმცა აღსანიშნავია რომ მათში ბევრია ხმარებიდან გასული სიმბოლოები, სპეციფიკური ტერმინები თუ გეოგრაფიულ დასახელებები. წიგნის და გაზეთის წასაკითხად, საკმარია სამი ათასამდე იეროგლიფს დასწავლა (შესაბამის

მნიშვნელობასთან ერთად), ხოლო უნივერსიტეტების კურსდამთავრებულებმა ხუთი ათასამდე იეროგლიფის გამოყენება იციან.

შევეცადოთ ჩვენც „შევიხედოთ“ ჩინური ენის საიდუმლოებით მოცული იეროგლიფების სამყაროში.

როგორ არის მოწყობილი ჩინური იეროგლიფების სისტემა?

ალბათ ჯერ ის უნდა ვთქვათ თუ რა სტატუსი აქვს ჩინურ ენას და ჩინეთში არსებულ უამრავ მონათესავე თუ არამონათესავე ენებს დღეს და როგორ გამოიყენება ჩინური დამწერლობა, თანამედროვე ცხოვრებაში. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ოფიციალური სახელმწიფო ენა გახლავთ ე.წ. „სტანდარტული ჩინური“, იგივე , „პუტონგ-ჰუა“ – „საერთო ენა“, იგივე „მანდარინი“ (ევროპული სახელია ჩინური ენისთვის), რომელიც ყველგან გამოიყენება და რომელზეც მიმდინარეობს საქმის წარმოება და სწავლება. თუ მოკლედ მიმოვიხილავთ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოსახლეობის ენებს, 2010 წლის მონაცემებით, „სტანდარტული ჩინურის -პუტონგჰუას“ სხვადასხვა ვერსიას, მშობლიურ ენად აცხადებდა 955 მილიონი ჩინელი, (მთელი მოსახლეობის დაახლ. 71%) და დამწერლობისთვის გამოიყენებს ჩინურის ე.წ. გამარტივებულ ვერსიას, რომელიც განსხვავდება ტრადიციული ჩინური დამწერლობისგან. ჩინეთის მრავალრიცხოვან ავტონომიურ რეგიონებში (ტიბეტი, შიდა მონღოლეთი, სინძიანი, გუანგსი, სხვა) „სტანდარტულ“ ენასთან ოფიციალური სტატუსი აქვთ ადგილობრივ ენებსაც.

კ. ტაივანზე, რომელიც ჩინეთის განუყოფელი ნაწილია, თუმცა XX ს. შუა წლებიდან დამოუკიდებლობისა და სეპარატიზმის პოლიტიკას ადგას, კონტინენტურ ჩინეთს სულ რამდენიმე ათეული კილომეტრით არის დაცილებული, მოსახლეობა ძირითადად ტაივანურ მანდარინზე საუბრობს, წერს და სწავლობს. „ტაივანის მანდარინი“ ძალიან ახლოს დგას პუტონგჰუასთან (სტანდარტულ ჩინურთან, ე.წ. მანდარინთან), თუმცა დამწერლობისთვის ჩინურ ტრადიციულ იეროგლიფებს იყენებს. გარდა ამისა, კ. ტაივანზე ასევე ძალიან პოპულარულია ჩინურის დიალექტი ჰოკაიენი, რომელიც გავრცელებულია ტაივანის მოსაზღვრე პროვინცია ფუ-ძიანში, აშშ-ს დიდ ქალაქებში მცხოვრებ ჩინელებში, სინგაპურის, მალაიზიისა და ჩინელების სხვა ემიგრანტულ თემებშიც პოპულარულია.

ჰონგ-კონგის (ჩინ. სიან-განი) და მაკაოს (ჩინ. აომინი) სპეციალური რაიონების მოსახლეობა ძირითადად საუბრობს (გარდა მანდარინისა) ე.წ. „კანტონურ დიალექტზე“ (ენის სახელი: იუე), ინგლისურად და პორტუგალიურად (მაკაოში) – აღსანიშნავია რომ ჰონგკონგშიც და მაკაოშიც, დამწერლობითი ენა, ტრადიციულ ჩინურ იეროგლიფებს ემყარება და განსხვავდება გამარტივებული იეროგლიფების სისტემისგან.

ყველაზე მთავარი, რაც აღსანიშნავია ჩინური ენის შესახებ საუბრისას, არის ის რომ ჩინურის სწავლა შეუძლებელია იეროგლიფების დასწავლის გარეშე. ჩინური და იაპონური, ის ორი ენა გახლავთ, რომლებიც დღემდე აქტიურად იყენებენ იეროგლიფებს. ყველა სხვა ენა (მათ შორის აზიის ენები), სხვადასხვა ტიპისა და ლოგიკის მქონე ანბანებს ეფუძნება, რომელთაც

შეიძლება 22,26, 33 ან ასამდე სიმბოლო ჰქონდეთ. იეროგლიფები კი ათასებს ითვლიან და მათ დამახსოვრებას ჩინურ კულტურასთან, აზროვნების სტილთან, ცნებებისა და მოვლენების აღქმასთან გაცნობა ჭირდება. მოკლედ თუ ვიტყვით, ჩინური იეროგლიფები „ბევრად უფრო ორგანულად ერწყმიან და წარმოადგენენ ჩინურს, ვიდრე სხვა ანბანები“, როგორ ამას ერთ-ერთი სინოლოგი აღწერს.

იეროგლიფი არის კალიგრაფიაც და ფერწერაც, ერთდროულად. ტრადიციული ჩინური ნახატი, როგორც წესი, აერთიანებს საკუთრივ ნახატს და იეროგლიფებით დაწერილს ლექსს. ტრადიციული ჩინური (და იაპონური) ფერწერიდან და ნახატიდან იეროგლიფს ვერსად „წაიღებთ“ ან „ამოგლეჯთ“ – იგი კომპოზიციის ნაწილია. იგი ჩინური მხატვრობის თუ სხვა ვიზუალური ხელოვნებისა და კულტურის კომპონენტია. ეს ჩინურის მთავარი შემადგენელი ნაწილია.

რაც შეეხება იეროგლიფების სიმრავლეს და მათ კატეგორიზაციას – აღსანიშნავია მათი ორ მსხვილ, ზოგად ჯგუფად დაყოფა: ერთნი წარმოადგენენ იდეოგრაფიკულ სიმბოლოებს, ხოლო მეორენი – ფონეტიკურ-იდეოგრაფიკულს. საკუთრივ იეროგლიფი, რთული გრაფიკული სიმბოლოა-ნიშანია, რომელიც შეიძლება შედგებოდეს ორი, ან მეტი გრაფემისგან. „გრაფემა“ – უმარტივესი ნიშანი, რომელსაც გააჩნია ლექსიკური მნიშვნელობა. სწორედ ისინი შეადგენენ ჩინური ენის უძველეს ერთეულებს.